

ივნისი 2020

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

## ექსპერტთა გამოკითხვა

გამოცემა #12

### ექსპერტთა აზრით, მთავრობის ავტორიტეტი COVID-19-ის პირობებში გაიზარდა, თუმცა საპარლამენტო არჩევნების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) 20 მაისიდან 4 ივნისამდე ჩაატარა ექსპერტთა რიგით მე-12 გამოკითხვა. გამოკითხვის ფარგლებში 52-მა ქართველმა და საერთაშორისო მკვლევარმა და პოლიტიკურმა მიმომხილველმა უპასუხა კითხვებს COVID-19 პანდემიისა და პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენის შესახებ. შედეგები ადასტურებს ბოლო, 2020 წლის მარტში ჩატარებულ გამოკითხვაში გამოვლენილ ტენდენციებს. კონკრეტულად, როგორც იკვეთება, საქართველოს მთავრობა კარგად ართმევს თავს კრიზისს და ამით პოლიტიკურ სარგებელსაც იღებს. თუმცა სურათი ბევრად კომპლექსურია, როცა საქმე კრიზისის მართვის სხვადასხვა ასპექტებს ეხება. მეორე მხრივ, ექსპერტები შედარებით უარყოფითად აფასებენ ოპოზიციის საქმიანობას პანდემიის პერიოდში.


#### რესპონდენტების შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს აქტუალური მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) რესპონდენტებს შორის არიან პოლიტიკური მიმომხილველები, მეცნიერები და ექსპერტები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე საქართველოში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმეტესობას არ აქვს ეპიდემიოლოგიის ან ჯანდაცვის სფეროების კვლევის ან მათზე დაკვირვების გამოცდილება. 52 გამოკითხული ექსპერტიდან 26 უცხოელია, ხოლო 26 - ქართველი.


## მთავრობის მიერ ეპიდსიტუაციის მართვა დადებითად ფასდება, თუმცა განწყობები სოციო-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ უფრო თავშეკავებულია

ექსპერტების მოსაზრებები საქართველოს მთავრობის მხრიდან კრიზისზე რეაგირების ეფექტურობის შესახებ მარტის შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. გრაფიკები 1 და 2 ასახავენ COVID-19-ის წინააღმდეგ მთავრობის მუშაობის საერთო შეფასებას. მონაცემები პრაქტიკულად იდენტურია. ორივე გამოკითხვაში რესპონდენტების თითქმის 80% მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს „დადებითად“ აფასებს. ქართველი და უცხოელი მკვლევრების მოსაზრებებს შორის შესამჩნევი განსხვავება არ არის. თუმცა ქართველი ექსპერტები, საერთო ჯამში, მეტად კრიტიკულები არიან: 7 ქართველი რესპონდენტი საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს, 2 კი მთავრობის მოქმედებას „უარყოფითად“ აფასებს მაშინ, როცა უცხოელებს შორის „უარყოფითი“ შეფასება არ არის, ხოლო ნეიტრალური პასუხი მხოლოდ ერთმა მათგანმა დააფიქსირა.

**გრაფიკი 1: საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგოდ [მარტი 2020 ]?**




**გრაფიკი 2: საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგოდ [ივნისი 2020 ]?**



მეორე მხრივ, ექსპერტებს უფრო დიფერენცირებული მოსაზრებები აქვთ მთავრობის ანტი-კრიზისული პოლიტიკის ცალკეული სფეროების შესახებ (გრაფიკი 3). ექსპერტების შესამჩნევად დადებითი შეფასებები, უმთავრესად, შემოიფარგლება მთავრობის მიერ COVID-19-ის ეპიდსიტუაციის მართვით, თუმცა მოსაზრებები ბევრად სკეპტიკურია მისი ეკონომიკური და სოციალური ანტი-კრიზისული პოლიტიკების მიმართ (გრაფიკი 3). როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების უმრავლესობა ამ საკითხს „არც დადებითად, არც უარყოფითად“ აფასებს, რასაც რესპონდენტთა „უარყოფითი“ შეფასება მოყვება (გრაფიკი 3). მხოლოდ რამდენიმე მიმომხილველი აფიქსირებს „დადებით“ განწყობას მთავრობის ეკონომიკური გაუმჯობესების პოლიტიკის და სოციალური დახმარების უზრუნველყოფის მიმართ (გრაფიკი 3).


**გრაფიკი 3: როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის ანტი-კრიზისული გეგმის სხვადასხვა ასპექტებს COVID-19-ის დროს? [ივნისი 2020]**




**ეკლესიის და პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობა პანდემიის პირობებში უარყოფითად ფასდება**

საქართველოს მთავრობა ოპოზიციასთან და სხვა ინსტიტუტებთან შედარებით უმჯობეს შედეგებს აჩვენებს (გრაფიკი 4 და 5). ვირუსის გავრცელების შემდეგ ჩატარებულ ორ გამოკითხვაში ჯანდაცვის სისტემა და მთავრობა ყველაზე ეფექტურ აქტორებად სახელდება. ამ მაჩვენებელმა მცირედით იკლო 2020 წლის მარტიდან ივნისამდე, თუმცა ის სხვა აქტორებთან შედარებით მაინც ბევრად მაღალია (გრაფიკი 4 და 5). ქართული ოპოზიცია ყველაზე შესამჩნევად განიცდის დადმასვლასმარტიდან ივნისამდე პერიოდში. ივნისის გამოკითხვის მიხედვით, ოპოზიციური პარტიების საქმიანობის შეფასება მეორე ყველაზე უარეს შედეგს აჩვენებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ (გრაფიკი 5). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქმედებები კვლავ ყველაზე უარყოფითად შეფასდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მიერ (გრაფიკი 5).

**გრაფიკი 4: 1-დან (ყველაზე უარესი) 5-მდე (ყველაზე უკეთესი) შკალაზე შეაფასეთ შემდეგი ინსტიტუტების ქმედებები COVID-19-ის კრიზისის დროს [მარტი 2020]**




**გრაფიკი 5: 1-დან (ყველაზე უარესი) 5-მდე (ყველაზე უკეთესი) შკალაზე შეაფასეთ შემდეგი ინსტიტუტების ქმედებები COVID-19-ის კრიზისის დროს [ივნისი 2020]**




თუ გავითვალისწინებთ ოპოზიციის სუსტ მაჩვენებლებს, გასაკვირი არ არის, რომ ექსპერტების აზრით, საქართველოს მთავრობა პანდემიის პირობებში პოლიტიკურად ყველაზე მომგებიან პოზიციაშია (გრაფიკი 6). გამოკითხულთა 58%-ის მოსაზრებით, მთავრობამ / ქართულმა ოცნებამ კრიზისისგან ყველაზე მეტი პოლიტიკური სარგებელი მიიღო (გრაფიკი 6). საინტერესოა, რომ არცერთი ექსპერტი ამ კითხვაზე პასუხად ოპოზიციას არ მოიაზრებს (გრაფიკი 6). ამის მსგავსად, კითხვაზე COVID-19-ის საპარლამენტო არჩევნებზე პოლიტიკური გავლენის შესახებ რესპონდენტთა 69%-მა უპასუხა, რომ მათი აზრით, ვირუსმა გაზარდა ქართული ოცნების საარჩევნო წარმატების შანსები. მხოლოდ 31%-მა განაცხადა, რომ პანდემიას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკური პარტიების არჩევნებში გამარჯვების შანსებზე (გრაფიკი 7).

**გრაფიკი 6: თქვენი აზრით, ვინ მიიღო ყველაზე მეტი პოლიტიკური სარგებელი COVID-19-ის პირობებში?**




**გრაფიკი 7: თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს COVID-19-ის კრიზისი პოლიტიკური პარტიების არჩევნებში გამარჯვების შანსებზე (ამ ეტაპზე)?**




## ქართველ და უცხოელ მიმომხილველებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით

გამოკითხვაში დასმულ საკითხთა უმრავლესობის შესახებ ქართველი და უცხოელი ექსპერტები იზიარებენ ხედვებს მცირე განსხვავებებით. ერთადერთი თემა, რომელთან დაკავშირებითაც მოსაზრებები მნიშვნელოვნად იყოფა, არის არჩევნების თარიღის გადადება COVID-19-ის საგანგებო სიტუაციის გახანგრძლივების შემთხვევაში. მაშინ, როცა საერთაშორისო ექსპერტების უმრავლესობა მხარს უჭერს საპარლამენტო არჩევნების გადადებას 2021 წლის გაზაფხულისთვის (გრაფიკი 10), ქართველი მიმომხილველები კი ფიქრობენ, რომ არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში დანიშნულ დროს უნდა გაიმართოს (გრაფიკი 9). თუ შევაჯამებთ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებებს, მცირე უმრავლესობა (57%) არჩევნების დაგეგმილ დღეს ჩატარების მომხრეა.


**გრაფიკი 8: იმ შემთხვევაში, თუ Covid-19-ის გავრცელება გაგრძელდება ზაფხულში, დაუჭრდით თუ არა მხარს ოქტომბრის არჩევნების გადადებას გაზაფხულისთვის?**



**გრაფიკი 9: იმ შემთხვევაში, თუ Covid-19-ის გავრცელება გაგრძელდება ზაფხულში, დაუჭერდით თუ არა მხარს ოქტომბრის არჩევნების გადალებას გაზაფხულისთვის? [მხოლოდ ქართველი ექსპერტები]**



**გრაფიკი 10: იმ შემთხვევაში, თუ Covid-19-ის გავრცელება გაგრძელდება ზაფხულში, დაუჭერდით თუ არა მხარს ოქტომბრის არჩევნების გადალებას გაზაფხულისთვის? [მხოლოდ საერთაშორისო ექსპერტები]**





## შეთავაზებები და რეკომენდაციები

გამოკითხვის მეორე ნაწილში საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) რესპონდენტებს შესთავაზა რამდენიმე ღია ტიპის კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები და რა როლი აქვს ამ პროცესში საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებას. რესპონდენტებმა წარმოადგინეს რამდენიმე იდეა, თუ როგორ უნდა წარიმართოს საპარლამენტო არჩევნები უსაფრთხოდ და დემოკრატიულად COVID-19-ის პირობებში. ხმის მიცემის დღესთან დაკავშირებით მიმომხილველთა რეკომენდაციებს შორის ნახსენებია „ხმის მიცემა ფოსტით“, „ხმის მიცემა ელექტრონულად“, „ხმის მიცემა ღია სივრცეში“ და „გახანგრძლივებული ხმის მიცემა“. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა „ციფრული კამპანიის გააქტიურების“ მნიშვნელობას, მათ შორის, ტრადიციულ და სოციალურ მედიას. კითხვაზე, თუ რა პოლიტიკურ გამოწვევებს და შესაძლებლობებს ხედავენ დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით, რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა პოლიტიკური პარტიებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის აუცილებლობა ოპოზიციური პარტიებისთვის ციფრული კამპანიის წარმართვისთვის მეტი დროისა და შესაძლებლობების მიცემის გზით.

**კითხვა 1: იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების თარიღი დარჩება ოქტომბერში, თქვენი აზრით, როგორ უნდა წარიმართოს პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო კამპანია COVID-19-ის შეზღუდვების პირობებში? როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა უსაფრთხოება ხმის მიცემის დღეს?**

ყველაზე ხშირად შეთავაზებული რეკომენდაციები [ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები]
- ხმის მიცემა ფოსტით
- ხმის მიცემა ელექტრონულად
- ხმის მიცემა ღია სივრცეში
- გახანგრძლივებული ხმის მიცემა (ერთ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში)
- ციფრული წინასაარჩევნო კამპანია (ტრადიციული და სოციალური მედიის გამოყენებით)
- საარჩევნო კამპანიის წარმოება ღია სივრცეში

რესპონდენტებმა, ასევე, უპასუხეს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას, დაეხმაროს საქართველოს არჩევნების უსაფრთხოდ წარმართვაში პანდემიის პირობებში. ექსპერტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა პოლიტიკური მხარდაჭერის და დემოკრატიული პირობითობის მნიშვნელობას. აქ მოიაზრება როგორც საარჩევნო მონიტორინგი, ისე პოლიტიკურ აქტორებზე წნეხის განხორციელება პოლიტიკური დიალოგის მიღწევის მიზნით, ასევე, პერიოდული ზეწოლა მთავრობაზე, რათა უზრუნველყოფილ იყოს თანაბარი საარჩევნო გარემო ყველა პარტიისთვის. საინტერესოა, რომ ქართველი ექსპერტები ბევრად მომთხოვნე არიან საერთაშორისო საზოგადოების მიმართ დემოკრატიული პირობითობისა და მთავრობაზე წნეხის განხორციელების თვალსაზრისით. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების და think tank-ების როლს, ბევრმა მიმომხილველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია უსაფრთხოების და ჰიგიენური ზომების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, გარდა ტრადიციული საქმიანობისა, როგორცაა მონიტორინგი და პოლიტიკური ანალიზი.

და ბოლოს, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) ექსპერტებს სთხოვა, გამოეკვეთათ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც COVID-19-ის პირობებში ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ამ დრომდე უგულვებელყოფილი იყო. რესპონდენტებმა დაასახელეს არაერთი ეკონომიკური, სოციალური და ეპიდემიოლოგიური საკითხი, მათ შორის: სასოფლო სექტორის ეკონომიკური მხარდაჭერა, კომუნიკაციის გაუმჯობესება მოსახლეობასთან, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება, ხმების მოსყიდვის გაზრდილი საფრთხე, მეტი ყურადღება შშმ პირების მიმართ, ოჯახური ძალადობა, ქალთა უფლებები, უმუშევრობა ახალგაზრდებში, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, და პოსტ-საკარანტინო პროცესების უკეთესად მართვა საკვების უზენბლობასა და სოციალური დისტანცირების ნორმების უკეთ დაცვის ჩათვლით.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

გამოკითხვას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს აშშ-ს “ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის” (National Endowment for Democracy, NED).

**დოკუმენტის ციტირების წესი:** ექსპერტთა გამოკითხვა #12, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)